სსიპ ქალაქ ბათუმის N2 საჯარო სკოლის დებატ-კლუბი

მუხლი 1. დებულება

- სსიპ ქალაქ ბათუმის ნ2 საჯარო სკოლის დებატ-კლუბში გაერთიანებულია მე-9, მე-10, მე-11, მე-12 კლასის მოსწავლეები. სამოტივაციო განცხადების საფუძველზე, რომელსაც მშობელთან ერთად წარმოადგენენ.
  კლუბი დაფუძნებულია სკოლის ბაზაზე. სკოლაში ჩატარებული გამოკითხვით დადგინდა, რომ ყველაზე მოთხოვნადი კლუბი, სწორედ დებატ-კლუბია და გამოკითხულ მოსწავლეთა 100% (100 მოსწავლე), ფიქრობს, რომ დებატ-კლუბის შექმნა აუცილებელია სკოლისა და მოსწავლეების განვითარებისთვის.
- კლუბი სარგებლობს სკოლის მატერიალური ბაზით და მის კონტროლს ახორციელებს სკოლის დირექცი

მუხლი 2. მიზანი

- დებატ-კლუბის მიზანია, მოსწავლეებისთვის დებატების სწავლება.
- უვითარებს ადამიანს სწრაფად მსჯელობის უნარსა და სადისკუსიო ტექნიკას.

მუხლი 3 ამოცანები

- დებატ-კლუბის ამოცანებია, მოსწავლეებისთვის დებატების ხელოვნება სწავლება,
- არგუმენტირებული, სწრაფი, გუნდური გადაწყვეტილებების უნარების განვითარება
- სადისკუსიო ტექნიკის დახვეწა.

მუხლი 4. განსახორციელებელი აქტივობები

მოსწავლეები შეასწავლიან დებატებს,

- მოვიწვევთ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მენტორებს
- მენტორები „საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტიდან“.

მუხლი 5. სამიზნე ჯგუფი - ბენეფიციარები

კლუბი გათვლილია: მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეებისთვის.

მუხლი 6. სამოქმედო გეგმა

1) შეიქმნება კლუბი (1 მარტს);
2) შეირჩევა სამუშაო ადგილი კლუბისთვის (31-ე აუდიტორია);
3) მოვიწვევთ მენტორებს (საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტიდან);
4) დაიწყება კლუბში მოსწავლეების გაწევრიანება (მე-7-12 კლასის მოსწავლეები);
5) კლუბი დაიწყებს აქტიურად მუშაობას:
   შეხვედრა N1 - მოსწავლეების რეგისტრაცია - კლუბის მიზნების და სამუშაო გეგმის გაცნობა;
   შეხვედრა N2, N3, N4, N5, N6, N7, N8, N9 და N10 - დებატების ტექნის სწავლება "კარლ პოპერის" და "ბრიტანული საპარლამენტო" დებატების სტილში.

მუხლი 7. პროექტის ხანგრძლივობა

კლუბი დაიწყებს ფუნქციონირებას 1 მარტს და განაგრძობს 9 ივნისამდე. კლუბზე ჩატარებული მონიტორინგის შედეგის მიხედვით, კლუბი განაახლებს მუშაობას შემდეგ სასწავლო სემესტრშიც.

მუხლი 8. განმახორციელებელი ჯგუფები

კლუბს მართავენ და ორგანიზებას გაუწევენ, სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის საბჭოს წევრები და მოწვეული მენტორები.